



# დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY



## დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება N1143

ქ. დუშეთი

22 ოქტომბერი 2014 წ.

სოფ. ჭოპორტში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 11 ივლისის N712 ბრძანებით დაწესებული შეზღუდვების მოხსნის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 11 ივლისის N712 ბრძანებით დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭოპორტის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაწესდა კარანტინი და განისაზღვრა საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებები.

სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტომ 2014 წლის სექტემბერში მომართა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას. სააგენტოს განმარტებით გატარდა დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებები და 2 თვის განმავლობაში არ გამოვლენილა ცოფის ახალი შემთხვევა. სააგენტო ითხოვს სოფ. ჭოპორტში დაწესებული შემზღუდველი ღონისძიებების მოხსნას.

„ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა საკარანტინო წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N420 დადგენილების მე-5-ე მუხლის მე-8-ე პუნქტის შესაბამისად „ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერაში შეზღუდვები მოიხსნება ტერიტორიული ორგანოს წარდგინებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით შეზღუდვების მოხსნის წინა დასკვნით ღონისძიებათა ჩატარებისა და ცხოველის ცოფით დასენიანების უკანასკნელი შემთხვევიდან 2 თვის გასვლის შემდეგ.“

გამომდინარე ყოველივე აღნიშნულიდან, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და მესამე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოიხსნას სოფ. ჭოპორტში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 11 ივლისის N712 ბრძანებით დაწესებული შეზღუდვები.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე;

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი:



/გ. ჩოხელი/

